საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

N 09/07/01 2015 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

**„ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“ კონვენციის საქართველოს პარლამენტში შეერთებისათვის წარდგენისა და ნ. კერესელიძის მომხსენებლად დანიშვნის თაობაზე**

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს შეერთებისათვის წარედგინოს „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“ კონვენცია.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში შეერთებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ კონვენციაზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **ნოდარ კერესელიძე.**

გიორგი მარგველაშვილი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი